# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 127

ქალაქი ქუთაისი 26 ოქტომბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი – 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეფასდეს დამაკმაყოფილებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი – 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
შემ. № 325
27 10 2022 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბერი

№ 127 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში

(2021 წლის დეკემბერი – 2022 წლის ოქტომბერი) გაწეული

მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების მოთხოვნათა დაცვას, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოში შემოტანილი პროექტების განხილვაში, ამზადებს დასკვნებს ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით, საკრებულოში სამართლებრივად სადავო და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით ამზადებს და წარადგენს კომისიის ზეპირ/ წერილობით მოსაზრებებს.

2022 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ მის უფლებამოსილებებში შემავალი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მრავალი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა. იურიდიულ საკითხთა კომისიის კომპეტენციები მოიცავს საკანონმდებლო და სხვა საკითხების წინასწარ მომზადებას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის უზრუნველყოფას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, გავრცელებული ახალი კორონავირუსით („COVID-19"-ით) გამოწვეული პანდემიის არსებობის მიუხედავად, იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად აგრძელებდა მუშაობას თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში. კომისიამ განიხილა საკრებულოს დადგენილების პროექტები მერიის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ. მოამზადა შესაბამისი დასკვნები და შენიშვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კომისიის მიერ წარდგენილი ყველა შენიშვნა (ტექნიკური და სამართლებრივი სახის) გაზიარებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ორგანოს მიერ.

ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა იურიდიულ საკითხთა კომისიის არცერთი სხდომა. მიმდინარე მოწვევის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ, 2021 წლის დეკემბრის თვიდან, 2022 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, მოწვეული და ჩატარებულ იქნა 18 სხდომა, განხილულ იქნა 63 საკითხი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით მომზადდა 62 დასკვნა. დეტალურად განხილულ იქნა როგორც ინდივიდუალური, ასევე, ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან, ასევე, პროცედურული მხარე, წარმოდგენისა და განხილვის. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობასა და კონტროლს.

საკრებულო

საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძისათვის პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით აბულაძისათვის პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბაქარ მახარაძის პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის №დ45.45213412 დასკვნის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 3-ჯერ, სხვადასხვა დროს);

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კობა გურულისათვის პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ;

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 3-ჯერ, სხვადასხვა დროს);

8. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

9. კორონავირუსის („COVID-19") გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე M2 (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M3 (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში, ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე;

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრების წარდგენის განხილვის შესახებ;

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ;

14. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

15. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

16. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

17. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

18. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის, საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

19. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ (აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 3-ჯერ, სხვადასხვა დროს);

20. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ;

21. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

22. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

23. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლის წესის დამტკიცების შესახებ;

24. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბერის №8 დადგენილების ცვლილების შესახებ;

25. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

26. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის №162 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

27. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

28. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ;

29. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების თაობაზე;

30. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

31. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის, ლევან სანიკიძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ;

32. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრად, ჯემალ ბიბილეიშვილის დანიშვნის შესახებ;

33. ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

34. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავჯდომარის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრისა და ამ კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

35. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

36. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

37. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

38. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

39. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

40. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

41. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

42. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

43. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

44. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

45. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

46. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

47. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

48. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 3-ჯერ, სხვადასხვა დროს);

49. ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, ნესტორ გოქაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

50. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;

51. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ;

52. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ;

53. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

54. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-15, მე-16 ნაწილებითა და $125^4$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა–ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ;

55. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ინტენსიური მუშაობა გასწია საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით სისტემატიურად იწვევდა ანგარიშვალდებულ ორგანოებს, რომლებიც საკითხის დეტალურად განხილვისა და მასზე შემდგომი მსჯელობის მიზნით კომისიის შემადგენლობას წარმოუდგენდა ინფორმაციას.

იურიდიულ საკითხთა კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა, ძირითადი პრობლემატური, სამართლებრივი, პროცედურული საკითხების შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში პროექტების შემუშავება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განსახილველად.

**შენიშვნა:** წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე 2022 წლის 26 ოქტომბერს წარდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია